აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2020 წლის 3 სექტემბერი

აბაშა

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე, 46-ე მუხლების, ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. აკრძალულია აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მასალის (შემდგომში – საარჩევნო პლაკატი) გაკვრა:

ა) საკულტო შენობა-ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, ასევე ქალაქ აბაშის ცენტრში არსებულ დეკორატიულ ღობეებზე და საყვავილეებზე;

ბ) აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.

მუხლი 2

1. აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატები შეიძლება განთავსდეს სპეციალურ სტენდებზე (შემდგომში – სტენდი), რომლებიც დგას შემდეგ ადგილებზე:

ა) პირველი უბნის ტერიტორიაზე – უ.კაჭარავას ქუჩაზე კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ჯორჯიკიას ქუჩაზე „ლიბერთი ბანკის“ წინ;

ბ) მეორე უბნის ტერიტორიაზე – ნოღოხაშის საჯარო სკოლის წინ და მშვიდობისა და გამსახურდიას ქუჩების გადაკვეთაზე;

გ) მესამე უბნის ტერიტორიაზე – კვათანის საჯარო სკოლის წინ და კვათანის ცენტრში არსებული სასურსათო მაღაზიის წინ;

დ) მეოცე უბნის ტერიტორიაზე – უ. კაჭარავას ქუჩაზე, ქ.აბაშის №2 საჯარო სკოლის წინ და გამსახურდიას ქუჩაზე, კაპანის სასურსათო მაღაზიის წინ;

ე) ოცდამეერთე უბნის ტერიტორიაზე – ჯორჯიკიას ქუჩაზე, ქ. აბაშის №1 საჯარო სკოლის წინ და თავისუფლების ქუჩაზე „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ – აბაშის ჰოსპიტლის წინ.

მუხლი 3

1. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელიც ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. აღნიშნულ შემთხვევებზე არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 თავით დადგენილი ნორმები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობაზე.

მუხლი 4

1. ამ დადგენილების მე-2 მუხლის გათვალისწინებით, სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს

უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 2 (ორი) ცალი საარჩევნო პლაკატი, ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

მუხლი 5

1. საარჩევნო პლაკატები ასევე შეიძლება განთავსდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ადმინისტრაციული ერთეულები ქალაქი/თემი/სოფელი) მდებარე გარე განათების ბოძებზე, მგზავრთა მოსაცდელებში და სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

მუხლი 6

1. ამ დადგენილების პირველი, მე-2 და მე-5 მუხლების გათვალისწინებით, საარჩევნო პლაკატები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, თუ ამით არ უარესდება საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და საავტომობილო გზის ხილვადობა, აგრეთვე, საფრთხე არ ემუქრება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

მუხლი 7

1. გამოყოფილი ადგილები და განთავსების პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარია.

მუხლი 8

1. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა; წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 9

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს №36 დადგენილება.

მუხლი 10

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა კვიტაშვილი**